2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება რაც მას მიადგა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.
3. ხელშეკრულებიდან გასვლასა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 თვის ვადით - 2012 წლის 14 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა, ცვილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ხელმოწერით დადასტურებული შეთანხმების გაფორმების გზით.

მუხლი 11.ფორს-მაჟორი

1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, აღნიშნულ გარემოებათა დასრულების შემდეგ.
2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1.შემსყიდველი უფლებამოსილია, შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწიენებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი - ციალა მახარაძე.